

წაკითხულის გააზრება და ანალიტიკური წერა

დღეს გამოცდა ჩატარდება წაკითხულის გააზრებასა და ანალიტიკურ წერაში.

- წაკითხულის გააზრების ნაწილი შედგება სამი ტექსტისა და 21 ტესტური დავალებისაგან.
ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 21.

სწორი პასუხის გაცემისათვის იწერება 1 ქულა.

თუ არცერთი პასუხი არ არის მონიშნული, იწერება 0 ქულა.

არასწორი პასუხისათვის აკლდება 0,2 ქულა (ანუ იწერება -0,2 ქულა).

ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 15 წუთი.

- ანალიტიკური წერის ნაწილი შედგება ორი დავალებისაგან.
ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 18.
თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა 9.
ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 10 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!



წაკითხულის გააზრება

I ვარიანტი

21 შეკითხვა

დრო – 1 სთ 15 წთ

ტექსტი №1

ძველ ბერძნულ კანონმდებლობაში მემკვიდრეობა არ იყო ანდერძით განსაზღვრული. ოჯახში გარდაცვლილის პირველი რიგის მემკვიდრეები მამრობითი სქესის შთამომავლები – ვაჟიშვილები იყვნენ. მათი არარსებობის შემთხვევაში მემკვიდრეობას მეორე რიგის მემკვიდრეები – გარდაცვლილის ძმები და ამ ძმების მამრობითი სქესის შთამომავლები იღებდნენ. მესამე რიგის მემკვიდრეს გარდაცვლილის მამა წარმოადგენდა. ნაშვილები ვაჟები ბიოლოგიური შვილების უფლებებით სარგებლობდნენ. თუ გარდაცვლილის ნათესაურ ჯგუფში მამაკაცები არ არსებობდნენ, მაშინ მემკვიდრეობას ქალიშვილის ვაჟი და მისი შთამომავლები იღებდნენ.

ძვ. წ. VI საუკუნეში სოლონმა ბერძნულ კანონმდებლობაში ანდერძი შეიტანა. ანდერძის საფუძველზე ადამიანს შეეძლო მემკვიდრეობის გაუქმება, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ვაჟიშვილები არ ჰყავდა. კანონიერი შვილები მემკვიდრეობას ყოველგვარი ფორმალობის გარეშე იღებდნენ და მათ უფლება არ ჰქონდათ, მემკვიდრეობაზე უარი განეცხადებინათ. ანდერძს, ჩვეულებრივ, წერილობითი სახე ჰქონდა და ის მოწმეთა თანდასწრებით იყო შედგენილი.

რომში მემკვიდრეობის განკარგვა ხდებოდა კანონის მიხედვით ან ანდერძით. XII დაფის კანონების მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი კვდებოდა ისე, რომ ანდერძი შედგენილი არ ჰქონდა, მემკვიდრეობას იღებდნენ ახლობლები: გარდაცვლილის შვილები, ნაშვილებები და შვილიშვილები, იმ შემთხვევაში, თუ მამა გარდაცვლილი ჰყავდათ; ხოლო პირველი რიგის მემკვიდრეთა არარსებობის შემთხვევაში – გარდაცვლილის ძმები, დები და დედა; მესამე რიგის მემკვიდრეები იყვნენ მოგვარეები. გარდაცვლილი მამაკაცის მეუღლეს სამკვიდრო ეძლეოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წინა რიგის მემკვიდრეები არ არსებობდნენ. თავისუფალი მონის, ლიბერტუსის კანონიერ მემკვიდრედ მისი ყოფილი პატრონი ითვლებოდა. თუ პატრონი აღარ იყო ცოცხალი, მაშინ – პატრონის ნათესავები. მემკვიდრეობის მიღებასთან ერთად რომაელ მოქალაქეს უნდა ეტვირთა ოჯახისა და გვარის ვალები და რელიგიური

ტექსტის გაგრძელება ->

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21
-----------	---	---	---	---	---	---	---	-----------	---	---	----	----	----	----	----	-----------	----	----	----	----	----	----	----

რიტუალების აღსრულების ვალდებულებაც. მემკვიდრეები ცდილობდნენ თავი დაეხსნათ ამ ვალდებულებებისაგან სხვადასხვა ხერხით. მაგალითად, თავისუფლებას ანიჭებდნენ მემკვიდრეობით მიღებულ მონას იმის ფასად, რომ მას უნდა შეესრულებინა ეს მოვალეობები. იმ შემთხვევაში, თუ მემკვიდრისათვის მემკვიდრეობის მიღება არ იყო სასურველი, მას შეეძლო უარი ეთქვა მასზე.

რომში მემკვიდრეობის განკარგვაში ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ანდერძი. ანდერძში მემკვიდრედ შეიძლება დასახელებული ყოფილიყო ერთი ან რამდენიმე პირი. ანდერძში დასახელებულ მემკვიდრეებს აუცილებლად უნდა მიეღოთ მემკვიდრეობა. პირს, რომელსაც არ უნდოდა უახლოესი ნათესავებისათვის მემკვიდრეობის გადაცემა, შეეძლო მათთვის გვერდი აეგლო ანდერძის საშუალებით. ციცერონის დროიდან დამკვიდრდა წესი ანდერძში იმ მიზეზების დასახელებისა, რის გამოც მამა არ აძლევდა თავის შვილებს მემკვიდრეობას. სხვა ნათესავების შემთხვევაში მიზეზების განსაზღვრა აუცილებელი არ იყო.

სვანეთში მამის უძრავ-მოძრავი ქონების პირდაპირი და კანონიერი მემკვიდრე იყო ვაჟიშვილი. კანონიერი მემკვიდრის საკუთრებას შეადგენდა: სახლი, საქონელი და ადგილები – სახნავ-სათესი, სათიბი, ტყე, საბალახო. უძეოდ გადაშენებულის ქონება რჩებოდა მის უახლოეს ნათესავს: ძმას, ძმისწულებს, ბიძას, ბიძაშვილებს, თემს ან სოფელს. ამ ქონების ახალი მფლობელი ვალდებული იყო, ეზრუნა და ჭირისუფლობა გაეწია იმ ოჯახში დარჩენილი ქალებისთვის, როგორც გათხოვილების, ისე გაუთხოვრებისთვის. ქვრივს ქმრის ქონება არ რჩებოდა. თუ ის გარდაცვლილი ქმრის ნათესავს გაჰყვებოდა ცოლად, მას უფლება ჰქონდა, დარჩენილიყო ყოფილი ქმრის ოჯახში და მისი ქონებით ესარგებლა. თუ ქვრივი სხვაგან გათხოვდებოდა, ის თან წაიღებდა თავის მზითევს, სხვას ვერაფერს. ანდერძის საშუალებით სამკვიდრებლის განკარგვა სვანეთის სამართალმა არ იცის.

ტექსტი შედგენილია შემდეგი ნაშრომის მიხედვით: „დემოკრატიული ტენდენციები: ანტიკური სამყარო და საქართველო“, რედ. ქ. აბესაძე, 2012.

1. რა არის ავტორის მთავარი მიზანი?

- (ა) საბერძნეთის, რომისა და სვანეთის მაგალითზე ხაზი გაუსვას მემკვიდრეობის განკარგვის საქმეში კანონის უპირატესობას ანდერძთან შედარებით.
- (ბ) ერთმანეთს შეადაროს მემკვიდრეობის გადაცემის წესები ძველ საბერძნეთში, რომსა და სვანეთში.
- (გ) გამოკვეთოს ანდერძის მნიშვნელობა მემკვიდრეობის განკარგვის საქმეში ძველი საბერძნეთის, რომისა და სვანეთის მაგალითზე.
- (დ) მიმოიხილოს მემკვიდრეობის განკარგვის წესები ძველ საბერძნეთში, რომსა და სვანეთში.
- (ე) ძველი საბერძნეთის, რომისა და სვანეთის მაგალითზე გამოკვეთოს მემკვიდრეობის გადაცემის პროცესში მამაკაცთა უპირატესობა.

2. ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის მართებული?

საბერძნეთში:

- (ა) გარდაცვლილის მამრობითი სქესის ძმისშვილების არსებობის შემთხვევაში გარდაცვლილის მამა მემკვიდრეობას ვერ მიიღებდა.
- (ბ) მემკვიდრეობის გადაცემისას პირველი რიგის მემკვიდრეთა შემდეგ გარდაცვლილის ქალიშვილის მამრობითი სქესის შთამომავლობა იდგა.
- (გ) ანდერძი არ იყო საჭირო იმისათვის, რომ გარდაცვლილის ვაჟიშვილს მემკვიდრეობა მიეღო.
- (დ) გარკვეულ ვითარებაში მემკვიდრეობა შეიძლება გარდაცვლილის ქალიშვილის მამრობითი სქესის შთამომავლობასაც რგებოდა.
- (ე) მემკვიდრეობის მიღებისას ბიოლოგიური და ნაშვილები ვაჟიშვილები ერთნაირი უფლებებით სარგებლობდნენ.

3. რა განასხვავებდა ერთმანეთისაგან საბერძნეთისა და რომის წესებს მემკვიდრეობის შესახებ?

- (ა) საბერძნეთში ნაშვილები სარგებლობდა ისეთივე უფლებით, როგორც შვილი, ხოლო რომში მას მემკვიდრეობას გადასცემდნენ მხოლოდ ბიოლოგიური შვილის არყოლის შემთხვევაში.
- (ბ) თუ გარდაცვლილის ნათესაურ ჯგუფში არ იყვნენ მამაკაცები, მაშინ მემკვიდრეობა რომში გადაეცემოდა გარდაცვლილის მეუღლეს, ხოლო საბერძნეთში – ქალიშვილს.
- (გ) მეორე რიგის მემკვიდრეები საბერძნეთში მხოლოდ მამრობითი სქესის წარმომადგენლები იყვნენ, ხოლო რომში – როგორც მამრობითი, ისე მდედრობითი სქესისა.
- (დ) საბერძნეთში მესამე რიგის მემკვიდრეთა ჯგუფში შედიოდნენ გარდაცვლილის ძმები, ხოლო რომში – მოგვარეები.
- (ე) რომში ოჯახის მდედრობითი სქესის წარმომადგენლები მეორე რიგის მემკვიდრეები იყვნენ, ხოლო საბერძნეთში – მესამე რიგისა.

4. ანდერძის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებათაგან რომელია მართებული?

- (ა) ანდერძი რომაელ მოქალაქეს მეტ-ნაკლებად თავისუფალი მოქმედების საშუალებას აძლევდა ქონების მემკვიდრეობით გადაცემისას.
- (ბ) რომში ანდერძს იმ შემთხვევაში ჰქონდა ძალა, თუ ის მოწმეთა თანდასწრებით იყო შედგენილი.
- (გ) ანდერძში ჩამოთვლილი უნდა ყოფილიყო მიზეზები, თუ რატომ არ აძლევდა რომაელი საკუთარ ქონებას მემკვიდრეობით თავის ნათესავებს.
- (დ) ანდერძის საშუალებით რომაელ მოქალაქეს შეეძლო თავისი ოჯახის მოვალეობების სხვისთვის გადაბარება.
- (ე) მემკვიდრეობის გადაცემის საკითხი ლიბერტუსსა და მის პატრონს შორის ანდერძის საშუალებით იყო დარეგულირებული.

5. ბერძენი ოლიმპიოდორეს ოჯახი საკმაოდ დიდი იყო, თუმცა მას გარდაცვალების შემდეგ ვაჟები არ დარჩენია. რომაელი მარკუსი კი ისე გარდაიცვალა, რომ შთამომავლობა საერთოდ არ ჰყოლია.

ვის შეიძლება გადასცემოდა მათი მემკვიდრეობა?

- I. როგორც ოლიმპიოდორეს, ისე მარკუსის მემკვიდრეობა – მათ ძმებს.
- II. როგორც ოლიმპიოდორეს, ისე მარკუსის მემკვიდრეობა – მათ მეუღლეებს.
- III. ოლიმპიოდორეს მემკვიდრეობა – ქალიშვილების ვაჟებს, მარკუსისა – დედას და დებს.

მართებულია:

- (ა) მხოლოდ I.
- (ბ) მხოლოდ II.
- (გ) მხოლოდ III.
- (დ) მხოლოდ I და III.
- (ე) მხოლოდ II და III.

6. სვანეთის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებათაგან რომელი არ დასტურდება ტექსტში?

- (ა) სვანეთში მემკვიდრეობის გადაცემა მამიდან შვილებზე ანდერძით არ ხდებოდა.
- (ბ) სვანეთში შვილიან ქვრივს, უშვილოსაგან განსხვავებით, ქონება მემკვიდრეობით გადაეცემოდა.
- (გ) გარდაცვლილის ქონება სვანეთში, ზოგ შემთხვევაში, სოფელს გადაეცემოდა.
- (დ) სვანეთში ქვრივ ქალს მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ქონებრივი უფლება მხოლოდ საკუთარ მზითევზე ჰქონდა.
- (ე) სვანეთში ქვრივ ქალს მეუღლის გარდაცვალების შემდეგ გარკვეულ ვითარებაში შეეძლო ესარგებლა მეუღლის ქონებით.

7. ტექსტის ბოლო აბზაცში:

- (ა) შეჯამებულია ტექსტში განხილული საკითხი.
- (ბ) გავრცობილია წინა აბზაცში მოყვანილი მსჯელობა.
- (გ) შეჯამებულია წინა აბზაცში წარმოდგენილი მსჯელობა.
- (დ) წარმოდგენილია დასკვნა, რომელიც ემყარება ტექსტში განხილულ მაგალითებს.
- (ე) განხილულია ტექსტის ძირითად თემასთან დაკავშირებული კიდევ ერთი საკითხი.

ტექსტი №2

I XX საუკუნის შუა წლებში ჰერპესის, ლეგიონერის დაავადების, შემდგომში კი შიდსისა და ებოლას ვირუსების გამოვლენამ ბიძგი მისცა ეპიდემიათა შესწავლის ახალ ეტაპს, რომელიც გულისხმობდა ეპიდემიის სოციალურ მოვლენად გააზრებას. ეპიდემიათა კვლევის ახლებური კონცეპტუალური მიდგომა მოიცავს ეპიდემიის წარმოქმნისა და მისი გავრცელების მიზეზების გამოვლენას, „დამნაშავეთა“ ძიებას, სხვადასხვა ღონისძიების გატარებას, მათზე რეაგირებას და ა. შ. XX საუკუნის ბოლოს შემუშავდა ეპიდემიის ნარატიული მოდელი, რომელიც ისტორიულ გამოცდილებას დაეფუძნა. ამ მოდელის მიხედვით, ეპიდემიები ყველა ეპოქაში ოთხაქტიანი სოციალური დრამის შესაბამისად მიმდინარეობს.

II დრამის I აქტი ეპიდემიის გამოვლენასა და აღიარებას მოიცავს. ამ ეტაპზე საზოგადოებაც და ხელისუფლებაც თვალს ხუჭავს დაავადების გამოვლინებებზე, რომლებიც თავდაპირველ ეტაპზე ნაკლებად შესამჩნევია. ამას განაპირობებს, ერთი მხრივ, ადამიანისათვის დამახასიათებელი თვითდამშვიდების ინსტინქტი, ხოლო, მეორე მხრივ, ეკონომიკური ინტერესები.

III დრამის II აქტში ხდება საზოგადოების მიერ დაავადების წარმოქმნისა და გავრცელების მიზეზების ამხსნელი ჩარჩოს შემუშავება. სხვადასხვა ეპოქაში ეს ეტაპი სხვადასხვაგვარად არის წარმოდგენილი. ეპიდემიათა ისტორიულ ნარატივებში დასტურდება მათი წარმოშობის სხვადასხვა მიზეზი, როგორც რაციონალური, ისე ტრანსცენდენტური. თავისებურად არის გააზრებული ეპიდემიის გავრცელების ხელშემწყობი ფაქტორები. ყველა ეპოქისათვის დამახასიათებელია ეპიდემიის შემომტანთა – „დამნაშავეთა“ – ძიება. დამნაშავეებად, ძირითადად, უცხოელები მოიაზრებიან. მაგალითად, შუა საუკუნეების ევროპაში ე. წ. „შავი სიკვდილის“ დროს განტევების ვაცები ებრაელები იყვნენ, რომლებსაც ჭების მოწამვლას აბრალებდნენ. ხშირად დამნაშავეებად დაბალი კლასის წარმომადგენლები მიაჩნდათ. ღარიბები კი ფიქრობდნენ, რომ ეპიდემია სწორედ რომ მმართველმა კლასმა დაგეგმა მდაბიოთა გასანადგურებლად.

IV დრამის III აქტი ეპიდემიაზე საზოგადოების რეაქციის შემუშავებაა. როგორც წესი, ადამიანები ეპიდემიის დროს მიმართავენ ტაძრებს, რადგან ოდითგან არსებობს მოსაზრება, რომ ეპიდემია ღმერთმა ადამიანებს მათი ცოდვების გამო მოუვლინა სასჯელად. როდესაც რიტუალების ჩატარების შემდეგ ეპიდემია მაინც არ ცხრება, არამედ პირიქით, შესაძლოა, მოიმატოს კიდევ ადამიანთა ერთ სივრცეში თავშეყრის გამო, ნაწილი კარგავს ტრადიციული რელიგიისადმი ნდობას. შედეგად, ფეხს იკიდებს რელიგიური სექტანტიზმი. მეორე მხრივ, სახელმწიფო და რელიგიური ავტორიტეტები ცდილობენ გააძლიერონ ტრადიციული რელიგიური მსახურების ფორმები და სახეები.

ტექსტის გაგრძელება ->

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21
-----------	---	---	---	---	---	---	---	-----------	---	---	----	----	----	----	----	-----------	----	----	----	----	----	----	----

V ეპიდემიის დროს, საყოველთაო პანიკის ფონზე, ადამიანებისთვის დამახასიათებელია არაადეკვატური ქცევა, კერძოდ, ოჯახის ავადმყოფი წევრებისა თუ ახლობლების მიტოვება, ეპიდემიის შედეგად გარდაცვლილის უპატივცემულობა. მაგალითად, ძველ ათენში ზოგი თავის მიცვალებულს სხვისთვის დანთებულ კოცონზე წვადა და გარბოდა. მეორე მხრივ, არის შემთხვევები, როდესაც ადამიანები თავიანთ თავში თრგუნავენ შიშს და სრულიად უცნობებს უვლიან.

VI ეპიდემიის დროს გავრცელებულია კიდევ ერთი სახასიათო ქცევა: ადამიანური ბედის სწრაფი და რადიკალური ცვლილების პირობებში ფასეულობათა სისტემა ირყევა, რაც ქვენა გრძნობების გათავისუფლებასა და წუთიერი განცხრომისაკენ სწრაფვას იწვევს. ადამიანი ეძლევა ჰედონიზმს. ცნობილი გამოთქმა – „ლხინი ჭირის დროს“ – სწორედ ამ მოვლენას გამოხატავს.

VII ამავე აქტში თამაშდება ხელისუფლების საპასუხო რეაქციები. მაგალითად, ცნობილია, რომ ეპიდემიის დროს ეფექტიანი ადმინისტრაციული ზომები შემოიღეს შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში. სახელმწიფო ძალები მიმართავდნენ ეპიდემიის ადგილებიდან ხალხის მასობრივ ევაკუაციასა და ლაზარეთებში ავადმყოფთა იზოლირებას, ქმნიდნენ სანიტარულ კორდონებს და აწყობდნენ კარანტინს. ხარვეზების მიუხედავად, სახელისუფლებო პოლიტიკას ეპიდემიასთან ბრძოლაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ჯანმრთელობის პირველმა საბჭოებმა, რომლებიც ე. წ. „შავი სიკვდილის“ დასამარცხებლად თავდაპირველად ვენეციასა და ფლორენციაში შეიქმნა, შემდგომში საზოგადოებრივი ჯანდაცვის სხვადასხვა სამსახურის ჩამოყალიბება განაპირობა.

VIII ეპიდემიის უნივერსალური მახასიათებელია ხელისუფლების ღონისძიებათა მიმართ მოსახლეობის უკმაყოფილება. ამას იწვევს, ერთი მხრივ, ის, რომ ხალხს გატარებული ღონისძიებები ზედმეტად მკაცრად მიაჩნია და, მეორე მხრივ, ხელისუფლების უუნარობა, დაარწმუნოს საზოგადოება, რომ მიღებული ზომები მათ სასიკეთოდ, და არა რაიმე პოლიტიკური დღის წესრიგის შესაქმნელად ტარდება. ღონისძიებებს, როგორც წესი, მოჰყვება მოსახლეობის საპროტესტო გამოსვლები, შესაძლოა ამბოხებაც.

IX ბოლო, IV აქტი ეპიდემიის თანდათანობითი დაცხრომა და მისი რეტროსპექტული ანალიზია. რეტროსპექტული განსჯა, საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკის შეფასებასთან ერთად, მოიცავს გარკვეულ შეკითხვებს, მაგალითად, როგორ გაართვა თავი გამოწვევას საზოგადოებამ თუ სახელმწიფო აპარატმა, რაში მდგომარეობს ეპიდემიის გრძელვადიანი ზეგავლენა და სხვ.

X სხვადასხვა ისტორიული კონტექსტიდან და გეოგრაფიული არეალიდან გამომდინარე, ეპიდემიის ცალკეული აქტი სპეციფიკური შეიძლება იყოს, თუმცა საერთოა ჩარჩო – ოთხაქტიანი სცენარი, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს ეპიდემია და მასთან დაკავშირებული სოციალური ქმედებები თუ პროცესები.

ტექსტი შედგენილია შემდეგი ნაშრომის მიხედვით: ქ. ნადარეიშვილი, „ათენის ჭირის ნარატივი ეპიდემიის სოციალურ და ინტელექტუალურ კონსტრუქტად გააზრების კონტექსტში“, ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები, ლიტერატურა და პანდემია, 2021.

8. რა არის ავტორის მთავარი მიზანი?

- (ა) მიმოიხილოს ეპიდემიების შესახებ არსებული მსოფლიო ისტორიული გამოცდილება.
- (ბ) წარმოაჩინოს ეპიდემიათა მიმდინარეობაში საზოგადოებისა და სახელმწიფო აპარატის როლი და დანიშნულება.
- (გ) განიხილოს ეპიდემია, როგორც საერთო სცენარის მიხედვით მიმდინარე სოციალური მოვლენა.
- (დ) გამოკვეთოს ეპიდემიასთან ბრძოლის ეფექტიანი საშუალებები ადრეულ ეპოქებსა და თანამედროვეობაში.
- (ე) ერთმანეთს შეადაროს ეპიდემიის მიმდინარეობის ცალკეული აქტის სპეციფიკა ძველ ეპოქასა და თანამედროვეობაში.

9. „ამ დროს ადამიანებს მშვენივრად და სასარგებლოდ ის მიაჩნიათ, რაც იმ წამს მიაჩნებდათ ტკობას, ან ის, რაც ამ ტკობის მიღწევაში დაეხმარებათ“.

რომელ აზრს შეესაბამება ყველაზე მეტად ძველი ბერძენი ისტორიკოსის, თუკიდიდეს ეს სიტყვები?

- (ა) II
- (ბ) III
- (გ) IV
- (დ) V
- (ე) VI

10. ჩამოთვლილთაგან რომელია მცდარი?

- (ა) ეპიდემიის განვითარების IV აქტში რეტროსპექტული განსჯა გულისხმობს ეპიდემიათა ისტორიული ნარატივების შესწავლას.
- (ბ) ეპიდემიის ძველ ევროპულ ნარატივში დასტურდება ავადობის უცხოელებზე გადაბრალების ფაქტები.
- (გ) ეპიდემია, სოციალური თვალსაზრისით, თანამედროვე ეპოქაში იმავე ეტაპებს გადის, რასაც ძველ დროში.
- (დ) ეპიდემიის, როგორც სოციალური მოვლენის, კვლევაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ეპიდემიათა ისტორიული ნარატივების შესწავლას.
- (ე) ეპიდემიის ისტორიულ ნარატივებში დასტურდება სხვადასხვა კლასის წარმომადგენელთა მიერ ერთმანეთისათვის ეპიდემიის გავრცელების გადაბრალების ტენდენცია.

11. ჩამოთვლილთაგან რომელი დასტურდება ტექსტში?

- (ა) ძველი ეპოქიდან მოყოლებული დღემდე ეპიდემიის გაჩენისა და გავრცელების მიზეზების შესახებ პასუხები არ არსებობს.
- (ბ) ძველ ეპოქაში ეპიდემიის I აქტი მოიცავდა ავადობის შედეგად შექმნილი ქაოსის მოწესრიგების მცდელობას.
- (გ) ეპიდემიის გამომწვევი მიზეზების გააზრება როგორც ძველ სამყაროში, ისე თანამედროვე ეპოქაში ძირითადად ტრანსცენდენტურია.
- (დ) ეპიდემიის დროს ხელისუფალთა ადეკვატური რეაგირება და შესაბამისი ზომების მიღება ყოველთვის დადებით რეაქციას იწვევდა მოსახლეობაში.
- (ე) შუა საუკუნეების ევროპაში ჯანმრთელობის პირველი საბჭოების შექმნას გრძელვადიანი პოზიტიური შედეგი მოჰყვა.

12. რა არის V აზზაცის მთავარი სათქმელი?

ეპიდემიის დროს:

- (ა) ადამიანები იქცევიან ისე, როგორც ჩვეულებრივ არ მოიქცეოდნენ.
- (ბ) იმედწართმეული ადამიანები ტრადიციებისადმი პატივისცემას კარგავენ.
- (გ) მიუხედავად დიდი რისკისა, ზოგი ადამიანი თავს არ ზოგავს და ავადმყოფებს უვლის.
- (დ) ძველ ათენში დაკრძალვის ძველ წესებს ხშირად აღარ მისდევდნენ.
- (ე) ადამიანები იშვიათად გამოხატავენ თანაგრძნობას სხვა ადამიანების მიმართ.

13. ძველი საბერძნეთის ქალაქ თებეს ღვთის რისხვა დაატყდა თავს: ხალხი შავი ჭირით იხოცებოდა, სენმა საქონელსაც დარია ხელი. თებეს მეფე ოიდიპოსმა ტაძარში მისწებთან გააგზავნა მსახურები მიწეზის გასარკვევად და რჩევის საკითხავად. მისწებმა შემოუთვალეს: „ეს ღმერთის რისხვაა შენი წინამორბედი მეფის, ლაიოსის მკვლელობისათვის; იპოვეთ და დასაჯეთ დამნაშავე!“

ეპიდემიის სოციალური დრამის რომელ აქტ(ებ)ს უკავშირდება მოცემული ამბავი?

- (ა) მხოლოდ I-ს.
- (ბ) მხოლოდ I-სა და II-ს.
- (გ) მხოლოდ II-სა და III-ს.
- (დ) მხოლოდ III-ს.
- (ე) მხოლოდ IV-ს.

14. 1400-იან წლებში, როდესაც ევროპაში შავი ჭირი მძვინვარებდა, ვენეციას მომდგარი პროდუქტებითა და საქონლით დატვირთული გემების ეკიპაჟები ვალდებულნი იყვნენ, იზოლაციაში გადასულიყვნენ, სანამ კონტინენტისკენ გააგრძელებდნენ სვლას. ისინი უზრუნველყოფილნი იყვნენ თავშესაფრითა და პროდუქტების შესანახი ადგილით. ვენეციის კუნძულებზე 40 დღის განმავლობაში ათასობით ადამიანი იყო იზოლაციაში.

ეპიდემიის სოციალური დრამის უშუალოდ რომელ აქტს უკავშირდება მოცემული ამბავი?

- (ა) მხოლოდ I-ს.
- (ბ) მხოლოდ I-სა და II-ს.
- (გ) მხოლოდ II-სა და III-ს.
- (დ) მხოლოდ III-ს.
- (ე) მხოლოდ IV-ს.

ტექსტი №3

ცხოველთა ქცევა გულისხმობს ცხოველის ურთიერთქმედებას საკუთარი და სხვა სახეობის წარმომადგენლებთან, ასევე გარემოსთან. სხვა განმარტებით, ცხოველის ქცევა არის ორგანიზმის აქტივობა გარკვეული სტიმულის – გარე თუ შიდა სიგნალის ან სიგნალთა ერთობლიობის საპასუხოდ. ცხოველებს სიცოცხლის თითქმის ყველა ასპექტისათვის აქვთ შემუშავებული განსაზღვრული ქცევები, როგორებიცაა, მაგალითად, საკვების მოპოვება, მეწყვილის შერჩევა, თავდაცვა, ნაშიერების გაზრდა და ა. შ.

ქცევის ბიოლოგიურ და ევოლუციურ საფუძვლებს შეისწავლის ქცევითი ბიოლოგია, რომელიც ემყარება ისეთ დისციპლინათა მონაცემებს, როგორებიცაა: ევოლუციური ბიოლოგია, რომელიც იკვლევს ცოცხალი არსებების წარმოშობისა და სახეობათა განვითარება-ცვლილებების პროცესებს, ეთოლოგია, რომელიც შეისწავლის განსხვავებული ორგანიზმების ქცევებს მათ ბუნებრივ გარემოში, ნეირობიოლოგია, რომელიც იკვლევს ცხოველთა ქცევის ნეირონულ საფუძვლებს, ზოოფსიქოლოგია, რომლის კვლევის სფეროა ცხოველების ფსიქიკა და სხვ.

ბიოლოგიისა და ფსიქოლოგიის ფარგლებში ცხოველების ქცევის სისტემურ კვლევებს საფუძველი დაუდო **დარვინის** ევოლუციის თეორიამ, კერძოდ, მისმა ნაშრომმა „სახეობათა წარმოშობა ბუნებრივი გადარჩევის გზით“ (1859). ევოლუციის თეორიის თანახმად, ბუნებაში, შეზღუდული რესურსების პირობებში, დროთა განმავლობაში იცვლება ორგანიზმთა პოპულაციები და სახეობები; ბუნებრივი გადარჩევის გზით გადარჩება ან წარმოიქმნება ისეთი სახეობები, რომელთაც აქვთ გარემოსთან ადაპტირებისათვის საჭირო ნიშან-თვისებები. ევოლუციის პროცესში ზოგი ქცევა ეხმარება ინდივიდს გარემოსთან ადაპტირებაში, გადარჩენასა და გამრავლებაში, ზოგი კი პირიქით, ხელს უშლის მას. შესაბამისად, ხდება სასარგებლო ქცევის განმტკიცება, რომელსაც ადაპტურ ქცევას უწოდებენ, რადგან ის ორგანიზმს გარემოსთან შეგუებაში, ადაპტირებაში ეხმარება. ხოლო უსარგებლო, ანუ ხელისშემშლელი, არაადაპტური ქცევა დროთა განმავლობაში იკარგება.

ტექსტის გაგრძელება ->

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21
-----------	---	---	---	---	---	---	---	-----------	---	---	----	----	----	----	----	-----------	----	----	----	----	----	----	----

ტინზერგენმა, რომელიც შეისწავლიდა ფრინველების ქცევას, მათი ქცევის ახსნის ოთხი ძირითადი ასპექტი ჩამოაყალიბა. ეს ასპექტები მაგალობელი ფრინველის, ზებრა ფინჩის კონკრეტული ქცევის – გალობის – მაგალითზე ასეთია: 1. მიზეზობრიობა. გულისხმობს ქცევის გამომწვევი მიზეზის განსაზღვრას: რა იწვევს გალობის ქცევას? მამრი ზებრა ფინჩის გალობას იწვევს, მაგალითად, პოტენციური მეწყვილის სიახლოვე ან მისი გარკვეული ჰორმონალური მდგომარეობა. 2. ქცევის ჩამოყალიბება-განვითარება. ზებრა ფინჩის ბარტყი ისმენს თავისი სახეობის მამრების, უფრო ხშირად, მამის გალობას და თავადაც იწყებს გალობაში ვარჯიშს, გალობის სწავლას. უკვე ზრდასრულ ასაკში მამრი ზებრა ფინჩი იწყებს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ გალობას, რომელიც მამის გალობას ჰგავს. როდესაც ზრდასრული ზებრა ფინჩი სრულყოფს თავის გალობას, ის უცვლელი რჩება მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში. 3. ქცევის ფუნქციური, ანუ ადაპტური ღირებულება. გალობა მამრ ზებრა ფინჩს ეხმარება მეწყვილის მიზიდვაში, რაც ზრდის მისი რეპროდუქციის შანსს. 4. ფილოგენეზი, ანუ სახეობისა და ქცევის ევოლუცია. ფრინველთა თითქმის ყველა სახეობას შეუძლია გამოსცეს ვოკალური ხმები, თუმცა მხოლოდ მაგალობელ ბელურასებრთა ქვერიგში მყოფი ფრინველები არიან მაგალობლები. ზებრა ფინჩი ამ ქვერიგს განეკუთვნება, თუმცა ის სხვა სახეობებისაგან განსხვავდება გალობაში ვარჯიშის ფაზებით, გალობის ხასიათითა და გალობის მიზნით, რაც სხვა სახეობათა შემთხვევაში ტერიტორიის დაცვაში მდგომარეობს.

ქცევითი ბიოლოგია განასხვავებს ქცევის თანდაყოლილ (გენეტიკურ) და შეძენილ (დასწავლილ) ფორმებს, თუმცა მრავალ ქცევას ერთდროულად თანდაყოლილი კომპონენტიც აქვს და შეძენილიც.

თანდაყოლილი ქცევა ინდივიდს მშობლებისაგან გადაეცემა. ასეთი ტიპის ქცევის განსაზღვრა მარტივია; ის შესაბამის სტიმულზე ინსტინქტურ რეაგირებას გულისხმობს მაშინაც კი, როდესაც ორგანიზმს ასეთი სტიმული ადრე არასდროს გამოუცდია. შეძენილ ქცევებს ინდივიდი გამოცდილებისა და გარემოს ზეგავლენის შედეგად იღებს. მათი სრულად ახსნა გენეტიკური „პროგრამირებით“ შეუძლებელია. არსებობს, ასევე, ნაწილობრივ თანდაყოლილი და ნაწილობრივ შეძენილი ქცევა. ეს ის ქცევაა, რომლის განვითარება ინდივიდში გენეტიკურად არის დაპროგრამებული, თუმცა რა ფორმას მიიღებს ის და რამდენად კარგად აითვისებს მას ინდივიდი, დამოკიდებულია თავად ინდივიდის გამოცდილებასა და გარემოზე.

ტექსტი შედგენილია შემდეგი ნაშრომის მიხედვით: ა. შათირიშვილი, ს. ცაგარელი, ი. ლაზრიშვილი, „ბიოლოგია“, მე-2 შესწორებული გამოცემა, 2011.

15. ტექსტის მიხედვით, ცხოველთა ქცევის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებათაგან რომელია მართებული?

- (ა) ცხოველის ყველა ქცევა გენეტიკურად არის დაპროგრამებული.
- (ბ) ცხოველის თანდაყოლილი ქცევა სრულიად უცნობ სტიმულზე ინსტინქტურ რეაგირებაში ვლინდება.
- (გ) გარე სიგნალებზე ცხოველის საპასუხო ქცევა მთლიანად მის დასწავლის უნარზეა დამოკიდებული.
- (დ) ცხოველების ურთიერთობას თავიანთი სახეობის წარმომადგენლებთან საფუძვლად თანდაყოლილი ქცევა უდევს, ხოლო სხვა სახეობებთან ურთიერთობას – შეძენილი.
- (ე) ყველა ქცევა, რომელსაც ცხოველი ასრულებს, მას გარემოსთან შეგუებაში ეხმარება.

16. ზებრა ფინჩის გალობის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებათაგან რომელია მართებული?

- (ა) ზრდასრული მამრი ზებრა ფინჩის უკვე სრულყოფილი გალობა შეიძლება შეიცვალოს გარკვეული ფაქტორების გავლენით.
- (ბ) ზებრა ფინჩის ბარტყი გალობას მხოლოდ მამისაგან ითვისებს.
- (გ) ზებრა ფინჩის გალობა მონათესავე სახეობების გალობის მსგავსია.
- (დ) ზებრა ფინჩის გალობის დანიშნულება მეწყვილის მოზიდვა და ტერიტორიის დაცვაა.
- (ე) ზებრა ფინჩის გალობა ზრდის ამ სახეობის გამრავლება-გადარჩენის შანსს.

17. ამფიბიების ოჯახის წარმომადგენელი ზრდასრული სალამანდრა, რომელსაც წყალი ან სხვა მოცურავე სალამანდრა არასდროს ენახა, წყალში ჩასვეს. მან მაშინვე გაცურა.

ტექსტიდან გამომდინარე, სალამანდრას ცურვის ქცევა არის:

- I. დასწავლილი
- II. თანდაყოლილი
- III. არაადაპტური

მართებულია:

- (ა) მხოლოდ I.
- (ბ) მხოლოდ II.
- (გ) მხოლოდ III.
- (დ) მხოლოდ I და III.
- (ე) მხოლოდ II და III.

18. ლაბორატორიულ პირობებში ვირთაგვა ერთ ბერკეტზე თათის დაჭერისას ჯილდოდ საკვებს იღებს, ხოლო მეორე ბერკეტზე დაჭერისას – მსუბუქ ელექტროშოკს. რამდენიმე მცდელობის შემდეგ ვირთაგვა საკვების მისაღებად უშეცდომოდ ირჩევს სათანადო ბერკეტს.

ტექსტიდან გამომდინარე, ვირთაგვას ეს ქცევა არის:

- I. დასწავლილი
- II. თანდაყოლილი
- III. არაადაპტური

მართებულია:

- (ა) მხოლოდ I.
- (ბ) მხოლოდ II.
- (გ) მხოლოდ III.
- (დ) არცერთი.
- (ე) თითოეული.

19. ტექსტის მიხედვით, ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის მართებული?

- (ა) ქცევითი ბიოლოგია, როგორც მეცნიერების დარგი, სხვადასხვა დისციპლინათა კვლევის შედეგებს ემყარება.
- (ბ) ცხოველთა ქცევის კვლევა მეცნიერების ისეთი დარგების ფარგლებში დაიწყო, როგორებიცაა ბიოლოგია და ფსიქოლოგია.
- (გ) ევოლუციის თეორიამ ბიძგი მისცა ცხოველთა ქცევასთან დაკავშირებული კვლევების განვითარებას.
- (დ) ბუნებრივი გადარჩევის პროცესში ყველა ქცევა ეხმარება ინდივიდს გარემოსთან ადაპტაციაში.
- (ე) ევოლუციის პროცესში სახეობისათვის დამახასიათებელი ზოგი ქცევა განმტკიცდება, ხოლო ზოგი – ქრება.

20. როგორია ავტორის პოზიცია დარვინისა და ტინბერგენის თეორიათა მიმართ?

- (ა) ავტორი იზიარებს დარვინის თეორიას, ხოლო ტინბერგენის მოსაზრებებს აკრიტიკებს.
- (ბ) ავტორის პირადი დამოკიდებულება დარვინისა და ტინბერგენის თეორიათა მიმართ გამოკვეთილი არ არის.
- (გ) დარვინისა და ტინბერგენის თეორიათა მიმოხილვის ფონზე ავტორი საკუთარ კონცეფციას აყალიბებს.
- (დ) ავტორი კრიტიკულად აფასებს როგორც დარვინის თეორიას, ისე ტინბერგენის კონცეფციას.
- (ე) დარვინისა და ტინბერგენის თეორიათა შორის ავტორი უპირატესობას ტინბერგენის მოსაზრებებს ანიჭებს.

21. ტექსტის ბოლო აბზაცში:

- (ა) დასმულია ახალი საკითხი ტექსტში განხილულ ძირითად თემასთან დაკავშირებით.
- (ბ) წარმოდგენილია დასკვნა, რომელიც ემყარება ტექსტში განხილულ საკითხს.
- (გ) გავრცობილია წინა აბზაცში დასმული საკითხი.
- (დ) მოყვანილია არგუმენტები წინა აბზაცში წარმოდგენილი მსჯელობის გასამყარებლად.
- (ე) მოყვანილია მაგალითები წინა აბზაცში დასმული საკითხის საილუსტრაციოდ.

ტექსტის დასასრული

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21
-----------	---	---	---	---	---	---	---	-----------	---	---	----	----	----	----	----	-----------	----	----	----	----	----	----	----